

**გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**  
**„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობა.  
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის  
თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე**

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მიზნად ისახავს არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლისა და ამ სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევაზე რეაგირების ეფექტური მექანიზმის შექმნას, შესაბამისი ორგანოების ადმინისტრაციული აქტების აღსრულების პროცედურების გამარტივებას.

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უნებართვო მშენებლობების აღკვეთის მექანიზმი საკმაოდ რთული და მრავალსაფეხურიანია, ამასთან მთელი რიგი საკანონმდებლო ხარვეზები საშუალებას იძლევა დროში უსასრულოდ ხდებოდეს უკანონო მშენებლობების აღკვეთის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერება და გადავადება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს ხდის ეფექტური ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელებას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე.

წარმოდგენილი ცვლილებებით შესაძლებელი ხდება უნებართვო მშენებლობების შეჩერების შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილება პირდაპირ მიექცეს აღსასრულებლად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ამასთან დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა წინამდებარე კანონპროექტით განისაზღვრება განსხვავებული ოდენობის ჯარიმა (50 000 ლარი) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში უკანონო მშენებლობისათვის. განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონად მიიჩნევა კურორტი და საკურორტო ადგილი, ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიმდებარე ტერიტორია, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.